



კანონის და განკურგულების პრეზრი

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუნიციპალიტეტთა და კლებთა მთავრობისა.

1929 წლის
აგვისტოს 16.

№ 15

განცხადება ბირეელი

ა/კსფსრ სახალ. კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართვე-
ლობის მიერ გამოცემული.

ზ 0 5 ა პ რ ს 0:

დადგენილებანი ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელ-
ფლოტელთა საბჭოების მე-V ყრილობისა.

- მუხ. 125. ამხ. ამბარცუმიანის მოხსენების გამო—„ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების
ხუთწლიანი გეგმის შესახებ“.
- „ 126. ამხ. პეტერინოვის მოხსენებისა და ამხანაგთა ბუნიათ-ზადეს და ა. ერზინგიანის თანა-
მოხსენებათა გამო—„ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის საჭირო ღონის-
ძიებათა შესახებ“.
- „ 127. ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გამო—„ა/კსფსრ დარაიონების შესახებ“.
- „ 128. ამხ. დოლიძის მოხსენების გამო—„ა/კსფსრ ძირითად კანონში (კონსტიტუციაში) ცვლი-
ლებების შეტანის შესახებ“.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

- „ 129. ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში საქმეთა წარმოების წესებისათვის
581 მუხლის დამატების შესახებ, ორმელი მუხლითაც გათვალისწინებულია ამიერკავ-
კასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში სახელმწიფო საწარმოთა და შერეულ სა-
აქციო საზოგადოებათა, აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციათა არაშემძლეობის საქ-
მების წარმოებისათვის სასამართლო ბაჟის გადახდევინების წესები.
- „ 130. ა/კსფსო-ისა და მასში შემავალი რესაუდლიკების სახელმწიფო ორგანოების უფლების
შესახებ, რომლის ძალითაც მათ შეუძლიან შესცვალონ სამრეწველო მშენებლობისა
და ამ შენებლობის დაფინანსების დამტკიცებული გეგმები.
- „ 131. „საკრედიტო გეგმების შედგენისა, განილვისა და დამტკიცების წესის თაობაზე“ გა-
მოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 19-ს დადგენილე-
ბის გაუქმების შესახებ.

დადგენილება აგიტრეკასიის მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და წითელულოტელთა დეცუტატების საბჭო-ების მე-V ურილებისა.

125. ამხ. ამბარცუმიანის მოხსენების გამო—„ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-IV ყრილობამ მოისმინა ამხ. ამბარცუმიანის მოხსენება „ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ და იგი აღნიშნავს:

1. გეგმა სისწორით გამოხატავს ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად ხაზს,—რაიონის ინდუსტრიალიზაციას და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ მეურნეობად გარდამქნას, რაც წარმართულ იქნება მსხვილი განვაზოგადოებული მიწათმოქმედების შექმნის გეზით; მაქსიმალური წარმოებითი კოოპერირებისა და კოლექტივიზაციისა და საბჭოთა მეურნეობის განვითარების მეშვეობით აღნიშნული მეურნეობა უნდა დადგეს საამდროვო ტეხნიკის სიმაღლეზე; თანაც, ამავე დროს, უნდა გაძლიერდეს სტიმული ინდივიდუალურ უღარიბეს და საშუალო მეურნეობათა წარმატებისა და განვითარებისა და ქალაქად და სოფლად კაპიტალისტური ელემენტების ზრდის შეზღუდვისა.

2. გეგმა სისწორით განსაზღვრავს ა/ქსფსრ-ის აღვილს შრომის საერთო-საკუთრო მასშტაბით განაწილების სისტემაში, როგორც ინდუსტრიალურ-აგრარული რაიონისას, რომლის სპეციალიზირება ემყარება:

ა) მრეწველობის დარგში—ნავთისა, სამთო, სამეტალურგო, ქიმიური (კერძოდ—ელექტროექიმიური) მრეწველობისა და მინერალური წარმოშობის საშენი მასალის წარმოების განვითარებას;

ბ) სოფლის მეურნეობის დარგში—ძეგირთასი ტეხნიკური, ნოტიოგანი, სუბტროპიკული და სპეციალური კულტურებისა და აგრეთვე პროდუქტიან ცხოველთმოშენების საქმის განვითარებას, ხოლო ამ საფუძველზე მსუბუქი მრეწველობის განვითარებას;

გ) ენერგეტიკის დარგში—ჰიდრო-ელექტრო-ენერგიის წარმოების განვითარებას, როგორც რაიონის მეურნეობის მთავარი ენერგეტიული ბაზისისა.

3. გეგმაში გადაშლილი მშენებლობის პროგრამა მრეწველობისა შეიცავს, როგორც ახალმშენებლობისა, ისე არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქციისა, გაფართოებისა და კაპიტალური რემონტის მრავალ მიზევებს.

მე-IV ყრილობას მიაჩნია, რომ სისწორით არის ნაჩვენები მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის ობიექტები, განვითარების ტემპი და ძირითადი პროპორცია და აღნიშნავს, რომ ხუთი წლის დასასრულ ამიერკავკასია,—ეს ყოფილი ჩამორჩენილი კოლონიალური განაპირა ქვეყანა მეფის რუსეთისა,—ჩადგება მთელი კავშირის ინდუსტრიალური რაიონების პირველ რიგში.

რაღაც განსაკუთრებით უაღრესი მნიშვნელობა აქვს ა/ქსფსრ-ისა და კავშირის ინდუსტრიალიზაციისათვის მთელ რიგ ობიექტებს,—ყრილობა ხაზგას-

მით აღნიშნავს, რომ აუცილებლად საჭიროა დაჩქარებულ იქნეს ნაპროექტევ ლონისძიებათა განხორციელება კაპიტალური მშენებლობის ახალი ობიექტების შექმნისა და არსებული ობიექტების რეკონსტრუქციისათვის,—სახელმობრ: მეტალურგული ქარხნისა დაშექვისანის მაღანზე, ტყვარჩელის ქვანახშირის საწარმოსი, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებისა, არტიკის ტუფისა, სომხეთის სპილენძისა საწარმოსი, შავიქვის მრეწველობისა და ფერრო-მარგანეცის ქარხნისა; აგრეთვე საძიებლო სამუშაოთა წარმოება ფერად მეტალთა გეოლოგიური და სამრეწველო საბადოების მარაგის გამოსარკვევად ბელაქანსა, მეხამანსა და გიუმუშშლუხში, ისეთი ვარაუდით, რომ ზუთი წლის მეორე ნახევარში, უკეთუ გამორჩეული იქნება მარაგის საქმარისი რაოდენობა, შეიძლებოდეს თუთიას, სპილენძისა და ტყვია-ვერცხლის მაღნის დამუშავების დაწყება. ისეთივე ენერგიული ძიებლობა უნდა სწარმოებდეს ქურდისტანის სანავთო და საგვარჯილე რაიონებში.

4. ელექტროფიკაციის დარგში გეგმა საესებით ითვალისწინებს რაციონალური ენერგეტიული მეურნეობის ძირითად პრინციპებს და ელექტრომშენებლობის ცენტრს ამყარებს ძალოვან სარაიონო ჰიდროცენტრალებს—საერთო ქსელზე მუშაობისათვის დაჯგუფებით; თანაც პპტიმალურად შეთავსებულია ჰიდროსადგურების მშენებლობისა და საირრიგაციო ნაგებობათა პროგრამა.

მე-V ყრილობა ავალებს სახალხო კომისართა საბჭოს—მიიღოს გადამწყვეტი ლონისძიებანი, რათა საესებით უზრუნველყოფილ იქნეს:

ა) იმ სარაიონო და ადგილობრივი სადგურების მოქმედების თავის დროზე დაწყება, რომელთა აგება და დამთავრება ხუთის წლის განმავლობაში გათვალისწინებულია გეგმით, განსაკუთრებით—რიონისა, ძმრაგეთისა, ყარასახეკალისა და ყანაქირის სადგურებისა;

ბ) თავის დროზე დაწყება სარაიონო ჰიდროსადგურებისა: შამხორისა, ტერცერისა და ძალოვან-მწვერვალოვანი მომწესრიგებელი ჰიდროცენტრალის აგებისა საქართველოში.

5. ყრილობა მთლად და სავსებით ადასტურებს:

ა) სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის განხორციელებისათვის ნაპროექტევ გაძლიერებულ ტემპს წარმოებითი კომპერირებისა, ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობის კოლექტივიზაციისა და სამინდვრე დაცხოველთმოშენების ტიპის საბჭოთა მეურნეობების მოწყობისა,—რაც განსაზოგადოებული სექტორის საყრდნობი პუნქტია სოფლად; აგრეთვე გრძელვადიანი და მოკლევადიანი კონტრაქტაციის გაშლის ტემპს;

ბ) გეგმის მიერ გათვალისწინებულ ლონისძიებათა სისტემას—სოფლის მეურნეობის საწარმო ძალითა წარმატებისათვის—სხვათა შორის, სოფლის ღრიბი და საშუალო მასების ინდივიდუალურ მეურნეობების,—ტერიტორიის ორგანიზაციისა (მელიორაცია, მიწათმოწყობა, განსახლება და გადასახლება), მანქანიზაციისა, ტრაქტორიზაციისა, ინდუსტრიალიზაციისა და სასოფლო ელექტროფიკაციის ხაზით, მინერალური სასუქისა და სელექციერებული თესლის შემოღებით, აგრძაბენარებისა და საცდელი საქმის ორგანიზაციით, მემინდვრეობაში შემოსავლიანობისა და ცხოველთმოშენების საქმეში პროდუქტიანობის გადიდებით და სხვ.

ყრილობა ავალებს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიიღონ ყოველი საორგანიზაციო-საწარმოო ხასიათის ღონისძიებას, რაც უზრუნველყოფს ღარიბ და საშუალო მეურნეობათა წარმატებას, რაც გაუადვილებს და წაახალისებს მათ მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობაზე გადასვლას, ფართო წარმოებითს კონპერირებასა და კოლექტივიზაციას და ამით ხელს შეუწყობს სოფლად სოციალისტური სექტორის ისეთი საყრდნობი პუნქტების შექმნას, რითაც შესაძლებელი გახდება შეზღუდლ იქნეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კულაკური და კაპიტალისტური ელემენტების ზრდა და დაძლევულ იქნეს როგორც ამ ელემენტების ბრძოლა სოციალისტური გარდამჯნისათვის მისაღებ ღონისძიებათა წინააღმდეგ, ისე მათი ცდა, რათა ეს ღონისძიებანი გამოიყენონ სოფლის კულაკური და კაპიტალისტური ხაზით განვითარებისათვის.

ყრილობა ხაზისმით აღნიშნავს, რომ სარაიონთაშორისო თანამშრომლობის სისტემაში ა/ქსფსრ-ის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ამოცანაა მაქსიმალურად განვითარებულ იქნეს ტეხნიკური და სპეციალური კულტურები, პირველ რიგში ბამბა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიისა და საკავშარო საფეიქრო მრეწველობისათვის; შემდეგ სუბტროპიკული კულტურები. ყრილობა სცნობს, რომ გეგმაში სისწორით არის გათვალისწინებული მოქლი რიგი ღონისძიებები სამარცვლე მეურნეობის მაქსიმალური გაძლიერებისა, რაციონალიზაციისა და გაფართოებისათვის იქ, სადაც ეს განვითარება ხელს არ უშლის ა/ქსფსრ სასოფლო მეურნეობაში ტეხნიკური და სპეციალური კულტურების ინტენსიურ განვითარებას.

6. ყრილობა ავალებს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიაქციონ თავიანთი უალრესი ყურადღება ხუთწლიანი გეგმით ნაპროექტევ სამელიორაციო სამუშაოთა პროგრამას (მორწყვა-დაშრობა), რადგანაც ამ სამუშაოებს აქვს არა მარტო უალრესი ტეხნიკურ-სოციალური სარეკონსტრუქციო მნიშვნელობა ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობისათვის, არამედ აქვს აგრეთვე დიდი მნიშვნელობა კავშირის მრეწველობისათვისაც. დაჩქრებით გადაწვევეტილ უნდა იქნეს საბამბე მიწების სიკრციის გასაღიდებლად კასპიის ზღვის სანაპირო დაბლობების მასივის მორწყვისა და სუბტროპიკული კულტურების (ჩაი, ციტრუსი, კაუჩუკი, თრომლი და კორკიმელის ხე) აღმომცენი კოლხიდის რაიონის დაბლობების დაშრობის პრობლემები, აგრეთვე არსებული სააგურო სარწყავი ქსელის რეკონსტრუქციის პრობლემა. ყრილობას სათანადო მიაჩნია, რომ ხუთწლიან გეგმაში მიღებულია მსხვილი სამელიორაციო მშენებლობის გზი, რაც მაქსიმალურად შეესაბამება სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს, და იგი წინააღმდებას იძლევა დაჩქრებულ იქნეს საირჩიგაციო სამუშაოთა გენერალური გეგმის სქემის შემუშავება.

7. ყრილობა აღნიშნავს, რომ ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობაში ტრანსპორტი სუსტი ადგილია და რომ ახლანდელ მდგრამარეობაში იგი ვერ შესძლებს შეასრულოს თავისი უალრესი დანიშნულება რაიონის რეკონსტრუქციისათვის.

ყრილობა დაბჯითებით მოითხოვს, რათა მთლად განხორციელებულ იქნეს ტრანსპორტის მშენებლობის პროგრამა—როგორც არსებული რელსიანი გზე-

ბისა და ურელსო გზების ქსელის განვითარებით, ისე ახალი, მაგისტრალური მნიშვნელობის რეინისგზებისა (შავიზღვის სანაპირო და ჯულფა-ბაქოს რკ.-გზ.-გაყვანის ვადის შემოკლებით) და აგრეთვე სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და ტექ-ზიდვის დანიშნულების მქონე მისავალი გზების გაყვანით.

განსაკუთრებული ურადღება უნდა მიეჩეს გეგმისადამიხედვით გადასვლას სრულყოფილი ტიპის გზების გაყვანაზე, ახალ საგზაო მშენებლობაზე, მექანიზირებული ტრანსპორტის გაფართოებაზე, შინაგანი წყალსავალი გზების გაუმჯობესებასა და გაგრძელებაზე და პორტების მშენებლობაზე.

ამავე დროს ყრილობა აღნიშნავს, რომ სარკინისგზზო ტრანსპორტის ელექტროფიკაცია მძიმე ტემპით სწარმოებს და წინადადებას აძლევს ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეიმუშაოს გეგმა რკინისგზების ელექტროწევაზე გადაყვანისათვის—პირველ რიგში სურამისა და ჯავურის უნდებისა.

8. ყრილობა ადასტურებს ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმით გათვალისწინებულ ქალაქისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობის კოოპერატივების ტემპს ყოველი სახის კოოპერაციის ფარგალში და მათი შემდგომი განვითარების ძირითად გეზს; აგრეთვე ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რათა მეტი ყურადღება მიეჩეს შინა-სარეწაო და საბინაო კოოპერაციას, რომელთა ზრდაც ჩამორჩა ორი სხვა სახის კოოპერაციის ზრდას.

9. მშენებლობის სოციალურ-კულტურული სექტორის სფეროში ყრილობას შესაბამისად მიაჩნია აღვენებული ძირითადი გეზი სახალხო განათლებისა, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის.

ყრილობა ადასტურებს გეგმით ნაპროექტებს:

ა) სახალხო განათლების სფეროში—რაც უზრუნველყოფს სავალდებულო საყოველთაო დაწყებითი სწავლების შემოღებას ქალაქად, დაწყებითი სწავლების კვლევასათვის ხელმიწვდენილობას სოფლად, წერა-კითხების უცოდინარობის ლიკვიდაციას სამუშაო ასაკის პირთა ძირითად მასებში და სხვა ლონისძიებას;

განსაკუთრებით ყრილობა მიაქცევს ყურადღებას მუშებისა და სპეციალისტების კვალიფიციური კადრების მომზადების პრობლემას, რისთვისაც მას საჭიროდ მიაჩნია ა/ქსფსრ-ში სახალხო განათლების საქმის რეორგანიზაცია, რათა იგი შეესაბამებოდეს სახალხო მეურნეობის საჭიროებათ;

ბ) ჯანმრთელობის სფეროში—რაც უზრუნველყოფს სამედიცინო დაბმარების განვითარებასა და გაფართოებას, განსაკუთრებით დაზღვეულთათვის და სოფლის მოსახლეობისათვის; სოციალურ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის სანიტარულ და პროფილაქტიურ ლონიძიებათა სისტემის გაფართოებას, პირველ რიგში მაღარიასთან ბრძოლისათვის; აგრეთვე—რაც უზრუნველყოფს სასანიტარო-საკურორტო საქმეს;

გ) სოციალური უზრუნველყოფის სფეროში—რაც ხელს შეუწყობს ომის ინვალიდების მაქსიმალური რიცხვის სხვადასხვა სახით უზრუნველყოფს და მოხუც გლეხთა ღარიბი ნაწილის პენსიით დაქმიყოფილებას.

10. თუმცა გეგმით ნაპროექტებია შემოსავლის მაქსიმალური ზრდა, მაინც სახელმწიფო და ადგილობრივი ჯუმლობითი ბიუჯეტი ხუთი წლის განმავლო-

ბაში დეფიციტიანი რჩება და ამ დეფიციტს ეტყობა თანდათანობითი ზრდის ზენდენცია.

ამასთან დაკავშირებით ყრილობა ავალებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს იზრუნოს შემოსავლის ახალი წყაროების გამოსაძებნად, რათა გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფანისება დაუცადებლად სწარმოებდეს.

11. საბჭოთა ყრილობა აღიარებს საგეგმო მუშაობის ოვალსაჩინო მიღწევებს, რაც მაჩვენებელია წარსული პერიოდის სოციალისტური მშენებლობის ეკონომიკურად განმტკიცებისა და დიდი წარმატებისა, და აღნიშნავს ამასთანავე მთელ რიგს არსებითს ნაკლულოვანებათ, რასაც განხილული გეგმა შეიცავს:

1) ზოგიერთ ნაწილში საკონტროლო ციფრები წარმოადგენს მხოლოდ კრიტიკულ ჯუმლს და რესპუბლიკანურ გეგმების შექრებას, რაც ძირითადად ეწინააღმდეგება ამიერკავკასიის მთლიანობის პრინციპს, როგორც ერთიანი სამეურნეო რაიონისას.

2) გეგმაში არ არის გამოხატული:

- აზნავთის ხუთი წლის მშენებლობის პროგრამა, რაც მიუღებელია;
- მომთაბარეობისა და მასთან დაკავშირებული სასაძოვრო მეურნეობის პრობლემა;

გ) საწარმოო პროცესების ოვისებრივ მაჩვენებელთა პრობლემა;

დ) შრომის საკითხები და კერძოდ—ქალის შრომის საკითხი, აგრეთვე ხუთი წლის პერიოდში შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა;

ე) დამუშავებულ და გაზუსტებულ უნდა იქნეს შემდგომად ზოგიერთი მომენტი და ელემენტი, კერძოდ და განსაკუთრებით—სოციალურ-კულტურული მშენებლობის დაგეგმვის დარღვი, განათლებისა და ჯანმრთელობის დარღვი, ქალის შრომისა, ქალის სწავლებისა, კოოპერაციის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მუშაობის საკითხებში და დედობისა და ჩვილობის დამცველ დაწესებულებათა ქსელის გაძლიერების საქმეში.

12. რადგანაც ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა ორგანიული ნაწილი საკავშირო სამეურნეო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმისა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მეურნეობრივი და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის მთავარ ღერძს და სოციალიზმის მშენებლობისაკენ გადადგმულ დიდ ნაბიჯს,—ყრილობას მიაჩინა, რომ ყველა მშრომელის ძალიანება მიქცეულ უნდა იქნეს ამ გეგმის განხორციელებისათვის—თვითლირებულების შემცირებისა, შრომის ნაყოფიერების გაძლიერებისა, შრომის დისკიპლინის განმტკიცებისა, ნათესი მიწების სივრცის გაფართოებისა, მოსავლიანობის გადიდებისა, გლეხობის კოლექტიურ მეურნეობებში და კოოპერაციაში ჩაბმისა, ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა, სახელმწიფო აპარატის ფართო მასსებთან დაკავშირებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა წარმატებისა და გაუმჯობესების ხაზით.

ხუთწლიანი გეგმა იბადება ისეთ მომენტში, როდესაც მუშები და მშრომელი გლეხები გლედაგულ მიუახლოვდენ მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას, როდესაც, განსაზოგადოებული სექტორის გაძლიერ

რებასთან დაკავშირებით, კაპიტალისტური ელემენტები განსაკუთრებულ აქტი-
ვობას იჩენენ, ხოლო კლასობრივი ბრძოლა მწვავდება.

ხუთწლიანი გეგმა თავისი მახვილით მიმართულია ამ კულაკური და ნეპმანური
ელემენტების ზრდის წინააღმდეგ და უმზადებს მათ საბოლოო დაღუპვას. იგი ჰქაზ-
მავს და მცირობდ აკავშირებს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა რიგებს. იგი
გადაიქცევა მშრომელთა მასების გაბედული შეტევის მძღვრ იარაღად კაპიტა-
ლიზმის ნაშთებისა და მისი ახალი ძალების წინააღმდეგ.

მე-V ყრილობას ურყევად სწამს მშრომელთა მასების შემოქმედი ენერ-
გის ზრდა და იგი მოუწოდებს მათ—ფართოდ გაშალონ დაძაბული მუშაობა
ხუთწლიანი გეგმის დიალი ამოცანების გარშემო, ე. ი. უახლოესი წლების გან-
მავლობაში სოციალიზმის მშენებლობის პროლეტარული პროგრამის გარშემო.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობის
თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობის
მდივანი ა. შავერდოვი.

1929 წ. მაისის 11. ტფილისი.

126. ამხ. ჰუსეინოვის მოხსენებისა და ამხანაგ. ბუნიათ-ზადეს და
ერზინკიანის თანამოხსენებათა გამო „ა/კსფსრ სოფლის მეურ-
ნეობის წარმატებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობამ მოისმინა ამბ. ჰუსეინოვისა და
ამხ. ამხ. ბუნიათ-ზადეს და ა. ერზინკიანის თანამოხსენებანი „ა/კსფსრ სოფლის
მეურნეობის წარმატებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ და იგი ადგენს:

ა. ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის მდგომარეობა.

1. სოფლის მეურნეობის სფეროში საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორ-
ციელებულ ღონისძიებათ შედეგად მოჰყვა ის, რომ ამ მეურნეობის საწარმოო
ძალები ამჟამად არა მარტო აღდგენილია, არამედ ზოგიერთ დარგში ომის წი-
ნადროის ღონე უკვე გადამეტებულია. — ა/კსფსრ სოფლის მეურნეობაში უკვე დამ-
თავრდა აღდგენის პერიოდი და იგი შევიდა შემდგომი განვითარების პერიოდ-
ში სოციალურ-ტეხნიკური რეკონსტრუქციის ბაზისზე.

2. როგორც მარცვლეული, ისე ტეხნიკური კულტურებით ნათესი მიწების
სივრცე აღემატება ომის წინადროის რაოდენობას.

ამასთან ერთად, საჭიროა აღინიშნოს, რომ თანდათან ფეხს იკიდებს ახალი
სანედლეულო კულტურები (კენაფი, შაქრის ჭარხალი) და აგრეთვე ვრცელდება
ზოგიერთი ტეხნიკური კულტურა ახალ რაიონებში (თამბაქო სომხეთში და ჩია
აზერბაიჯანში).

სპეციალური კულტურების სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩაის კულტურის უაღრეს ზრდას.

3. ცხოველთმოშენების ცალკეული დარგების რაოდენობითი მაჩვენებლები ააშეარავებენ, რომ მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა და მეცხვარეობის რაოდენობა მიღწეულია თითქმის სრულად ომის წინადროის რაოდენობამდე. მეცხვარეობამ და მელორეობამ უკვე გადააჭარბა ამ დონეს. მეაბრეშუმეობა უკლებლივ იზრდება, ხოლო საქართველოში უკვე გადამეტებულია ომის წინადროის დონე.

4. ყოველივე ზემოაღნიშვნული გარემოების მიხედვით სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულებამ 1928/29 წ. მიაღწია 286 მილიონ მანეთს ომის წინადროის ფასებით.

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ზრდასთან ერთად იზრდება აგრეთვე მისი სასაქონლო ნაწილი. სოფლის მეურნეობის ზოგიერთი უაღრესი დარგის სასაქონლო ნაწილის ზრდის ტემპი წინ უსწრებს საერთო პროდუქციის ზრდის ტემპს.

5. ა/ქსფსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების აღდგენა და ზრდა, სხვათა შორის, ირკვევა აგრეთვე სხვადასხვა მიღწევებით სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის დარგშიაც. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი გადამუშავებისა და შენახვის საწარმოთა ფართო მშენებლობა ძლიერი ფაქტორთაგანია ა/ქსფსრ სოფლის მეურნეობის განვითარებისა, განსაკუთრებით მისი სასაქონლო დარგების სფეროში.

6. წარსული პერიოდი ხასიათდება ამა თუ იმ მიღწევებით არა მარტო ა/ქსფსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა აღდგენისა და განვითარების სფეროში, არამედ თვალსაჩინო წარმატებით მისი სოციალისტური გარდამჯნის საქმეში. სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ხევდრითი წონა თანდათან ძლიერდება; ამასთანავე, დამახასიათებელია განსაკუთრებით უკანასკნელი წლები აღნიშნული ხევდრითი წონის ზრდისა და განმტკიცების ჩქარი ტემპით.

კოლექტიურ მეურნეობათა საერთო რაოდენობა, რაც აერთიანებს 29.067 მეურნეობას, ე. ი. საგლეხო მეურნეობათა საერთო რიცხვის 3,3% -ს, ა/ქსფსრ-ში უდრის 1.334. კოლექტიური მეურნეობანი აერთიანებენ ამ უამაღ 87.170 ჰექტარ მიწას, ე. ი. კულტურული სანახების 2,1% -ს. ამ უამაღ ა/ქსფსრ-ში, ადგილობრივი მნიშვნელობის საბჭოთა მეურნეობების გარდა, არსებობს 56 საბჭოთა მეურნეობა, მათ შორის 52 ტრესტირებული მეურნეობა. ტრესტირებული საბჭოთა მეურნეობების საერთო სივრცე უდრის 44.800 ჰექტარს. მათი საერთო პროდუქციის ღირებულება, ტეხნიკურ საწარმოთა გარეშე, ორ მილიონ მანეთამდე აღწევს.

7. ა/ქსფსრ სასოფლო-სამეურნეო კომპერაცია (კოლექტიურ მეურნეობათა გარეშე) 1928 წ. ოქტომბრის 1-სათვის აერთიანებდა 400.000 მეურნეობას, ე. ი. ამ მეურნეობათა საერთო რაოდენობის 44% -ს. სასოფლო-სამეურნეო კომპერაციის ხევდრითი წონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე ურყევად იზრდება. 1927/28 წელს მან მიაღწია სასაქონლო პროდუქციის 33% -ს. ამაზე უფრო მაღლა სდგას სასოფლო-სამეურნეო კომპერაციის ხევდრითი წონა სოფლის მეურნეობისათვის წარმოების საშუალებათა მიწოდების საქმეში. სასოფლო-სამეურნეო კომპერაციის მთელი სისტემის გასაღება-მიწოდების ოპერაციებით

საქონლის ბრუნვამ (წმინდა) 1927/28 წელს მიაღწია 80 მილ. მან. საჭიროა, შემდეგ, აღინიშნოს ა/კსფსრ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პრაქტიკაში გაძლიერება ახალი მეთოდებისა გლეხობასთან წარმოებითი კავშირის დაჭრისა, კერძოდ—კონტრაქტაციის მნიშვნელობის გაძლიერება. 1927/28 წ. დაკონტრაქტებული პროდუქციის ღირებულება აღწევს 50—55 მილიონ მანეტს; ამასთანავე, სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში (ბაბბა, თამბაქო, მატყლი, აბრეშუმის ჭიის პარკი) კონტრაქტაცია მოიცავს მთელ ან თითქმის მთელ სასაქონლო პროდუქციას. გასაღება-მიწოდების ოპერაციების ზრდასთან ერთად მოსჩანს აგრეთვე წარმოებითი კოოპერატივების მნიშვნელობის გაძლიერებაც. სპეციალური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობანი, სამელიორაციო ამხანაგობანი და სამანქანო ამხანაგობანი 1928 წლის ოქტომბრის 1-თვის აერთიანებდნენ უკვე 137.000 მეურნეობას.

8. ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების საერთო ზრდასთან ერთად, უკანასკნელ წლებში, შემჩნეულია რაოდენადმდე განვითარების ტემპის სინელე; ამასთანავე, ასეთი მდგომარეობა ეტყობა ისეთი უაღრესი მნიშვნელობის კულტურებსაც-კა, როგორიც არის ბაბბა და თამბაქო. საჭიროა, შემდეგ, აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების თვალსაჩინო რაოდენობრივ ზრდასთან ერთად (ნათესი სივრცე, ცხველთა რიცხვი და სხვ.) თავს იჩენს თვისებრივი მაჩვენებლების რაოდენადმე სტაბილება. ცალკეული კულტურების მოსავლიანობა და აგრეთვე საქონლის პროდუქტიობა არ აღემატება ომის წინადროის დონეს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ჩამორჩება კიდეც. ასეთი მდგომარეობის ძირითადი მიზეზი ის გარემოებაა, რომ, სააღმდგენო პერიოდის დამთავრებისას, შემდგომი დაჩარებული განვითარება ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალებისა თვალსაჩინოდ ბრკოლდება საგლეხო მეურნეობათა ქუცმაცობისა და წვრილმანობის გამო, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკისა და კულტურის დაბალ დონეზე დგომის გამო.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პრობლემა—სოციალისტური მრეწველობის განვითარების საჭიროებათა შესაბამისად—ებჯინება ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხს, ცალკეულ მეურნეობათა დიდრონ მეურნეობებად გადაქცევის საკითხს; ეს საკითხი, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, შეიძლება გადასწყდეს მარტოლდენ დიდი განსაზოგადოებული მეურნეობის შექმნით წარმოებითი კოოპერატივიზაციისა და საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის მშევეობით.

8. ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი გეზი.

9. ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა იღებს მხედველობაში ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის ბუნებრივ-ისტორიულ და ეკონომიკურ პირობებს, აგრეთვე განვითარების გზაზე მდგარი სოციალისტური მრეწველობის სანედლეულო და სასურსათო ბაზისის გაფართოების წარმატების ინტერესებს და სოფლის მშრომელი მეურნე-მოსახლეობის კეთილდღეობის წარმატების ინტერესებს და საჭირო სოფლის უზრუნველყოფილ იქნეს ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩარებული მდგომარეობის მშენებლობის მშევეობით.

ბული ზრდა, იმ პირობით, რომ მან სსრკ-ის სასოფლო მეურნეობის საერთო სისტემაში განამტკიცოს და გაძლიეროს თავისი როლი, როგორც ტეხნიკური და ძირითადი კულტურებისა და სამრეწველო ცხოველთმოშენების რაიონისა.

ამისდაშესაბამისად, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. სანედლეულო და ძირითადი კულტურების განვითარებას, მეტადრე ბამბას, თამბაქოს და ჩაის, აგრეთვე ცხოველთმოშენების განვითარებას — მისი პროდუქციის გადიდებისა და გაუმჯობესებისა და საქონლიანობის გაუკეთესების მხრით. ამასთან ერთად საჭიროა განვითარებულ და რაციონალიზებულ იქნეს მარცვლეული მეურნეობები, როგორც ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის სისტემის უსაჭიროესი და უაღრესი მნიშვნელობის ნაწილი.

10. ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა აღნიშნავს, რომ ა/კსფსრ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობისა და ოთხფეხი საქონლის პროდუქტიობის გადიდების პრობლემას, რადგანაც სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის (მარცვლეული მეურნეობა, ცხოველთმოშენება) რაოდენობითი ზრდის პერსპექტივები (ნათესი სივრცე და საქონლის რიცხვი) უახლოეს წლებში შეზღუდული იქნება; რაც შეეხება მთელ რიგ ტეხნიკურ კულტურებს, მათი ნათესი სიგრძის თვალსაჩინო ზრდა, რაც აუცილებლად საჭიროა მრეწველობისა და საქონლის საგარეო ბრუნვის ინტერესების მიხედვით, დამოკიდებულია ამ კულტურების რენტაბელობის გადიდებაზე; ხოლო ამ საკითხის გადაწყვეტა ძირითადობის ფარგალში შეიძლება მარტოოდენ ზრომის ნაყოფიერების გადიდებით, ე. ი. მოსავლიანობის გადიდებით.

უველა ამ პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს ბეჯით და სისტემატიურ მუშაობას, რათა გაძლიერებულ და დაჩქარებულ იქნეს სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის ზრდა; ამავე დროს ხელი უნდა შეეწყოს ინდივიდუალურ ლარიბ და საშუალო საგლეხო მეურნეობათა განვითარებასა და წარმატებას, ხოლო კულაკობის ზრდა ყოველი ღონისძიებით შეზღუდულ უნდა იქნეს.

11. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და სოციალურ-ტექნიკური რეკონსტრუქციის ჩქარი ტემპის ფართო შესაძლებლობანი განისაზღვრება იმ მდგომარეობით, რომ სსრკ-ის სოფლის მეურნეობის — მთლიანად — საამლდევნო პერიოდის დამთავრების შედეგად გაიზარდა თვისებრივი და რაოდენობრივი რესურსები, რაც შესაძლებლობას იძლევა გამოყენებულ იქნეს საბჭოთა სისტემის უპირატესობა სოფლის მეურნეობის წარმატების ტემპის დაჩქარებისათვის ახალი ტეხნიკის ბაზისზე და კოლექტიური ზრომის მეშვეობით წერილ მეურნეობათა გაერთიანების საფუძველზე.

გ. ძირითადი ღონისძიებანი ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის.

1. საერთო ხასიათის ღონისძიებანი.

12. ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის საჭირო ღონისძიებათა სისტემაში ძირითადი ადგილი უჭირავს ტერიტორიის ორგანიზაციის ღონისძიებებს, კერძოდ — მიწათმოწყვების ღონისძიებებს. ამ სფეროში უკვე თვალსაჩინო მუშაობაა გაწეული; ამ მუშაობამ მოგვცა არსებითი ეფექტი, რაც გამო-

იხატება არაშრომითი სარგებლობის მიწებისა და ზედმეტი მიწების ჩამორთმევაში და აგრეთვე მიწათსარგებლობის დეფექტების რაოდენილები შემცირებაში.

რადგანაც სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, ინტენსიფიკაცია და რაციონალიზაცია ძირითადად და აუცილებლად დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის რაციონალურ ორგანიზაციაზე, ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა საჭიროდ სოფლის:

ა) მიწათმოწყობის მაქსიმალურად დაჩარებას—ამის თანამიმდევარი განსახლებითა და მელიორაციით, ისეთი ვარაუდით, რომ მთლად ა/კსფსრ-ში მიწათმოწყობა დამთავრებულ იქნეს 1935-36 წელზე არა უგვიანეს;

ბ) მიწათმოწყობის მეთოდების შემუშავებას, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ აღნიშნული მიწათმოწყობა სავსებით შეესაბამებოდეს კოლექტივიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოოპერირების ინტერესებს; კლასიური გეზის გატარებას სოფლად და მიწათსარგებლობის დეფექტების მაქსიმალურად აღმოფხერას;

გ) პირველ რიგში კოლექტიურ მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწათმოწყობის უზრუნველყოფას, იმ პირობით, რომ კოლექტიურ მეურნეობებში მიწათმოწყობა ჩატარებულ იქნეს ამ მეურნეობათა ორგანიზაციის წელს;

დ) სამიწათმოწყობო მუშაობის გაძლიერებას ძვირფასი და ტეხნიკური კულტურების რაიონებში, აგრეთვე იმ რაიონებში, რომლებიც აგრარულად ჭარბად არიან დასახლებულნი და რომლებიც გადადიან უფრო ინტენსიური ფორმის მეურნეობაზე.

13. მაშინ, როდესაც ა/კსფსრ ზოგიერთ რაიონებში გამწვავებული მიწათნა კულებობაა, არის ისეთი, ჯერ კიდევ გამოყენებელი ან ექსტენსიურად გამოყენებული, დიდრონ-დიდრონი სივრცის ტერიტორიები, რომლებიც მელიორაციით, მორწყვით და დაშრობით შეიძლება გადაიქცეს ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სანახებად. ამასთანავე, სათანადო რაიონების ბუნებრივი და ისტორიული პირობები შესაძლებელ ჰქილის მიწის მელიორაციის გამოყენებას ძვირფასი და ტეხნიკური კულტურებისათვის. კერძო—საბამბე მიწების სივრცის გადიდების საკითხი პირდაპირ ებჯინება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის (აზერბაიჯანის სსრ) ველების სივრცეთ მორწყვის პრობლემას.

ამისდაშესაბამისად—მელიორაციის საკითხი ერთი ცენტრალური საკითხთანანია, რომლის წარმატებით გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი და მიმართულება.

თვალსაჩინო წარმატების გვერდით წყალსამეურნეო მშენებლობის საქმეში იყო აგრეთვე არსებითი შეცდომებიც, წარსულში, რომლის მთავარი მიზეზი მშენებლობის არასაქმარისი გეგმიანობაა. უკანასკნელი წელიწადი ხასიათდება ამ მდგომარეობის არსებითი გაჯანსაღებით—გეგმიანობის განმტკიცებისა და გაძლიერებისა და გაწული ხარჯების სათანადო ეფექტიანობის უზრუნველყოფის ხაზით.

რადგანაც სამელიორაციო ღონისძიებათ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობისათვის, საჭიროა მიღებულ უქნეს ღონისძიებანი სამელიორაციო მშენებლობის დასახარებლად და ამ მშენებლობისათვის მაქსიმალური ტეხნიკური და ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის. ამასთანავე, უახლოეს წლებში მთავარი ყურადღება ახალი მშენებლობის სფეროში უნდა მიექ-

ცეს დაწყებულ სამუშაოთა დამთავრებას და აგრეთვე ისეთ, შედარებით, წვრილ-მან სამუშაოთა განხორციელებას, რაც მოგვცემს სამეურნეო ეფექტს ახლო მო-მავალში.

ახალი მშენებლობის გვერდით საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს— თანაც მუშაობის გაძლიერებით—არსებულ სისტემათა რეკონისტრუქციას და აღ-დგენს, განსაკუთრებით სააქაურო სისტემებს, აგრეთვე წყალსაქნებისა, ჩარხე-ბისა და ქიალრიზების ჩემონტსა და მოწყობას.

ამის გარდა, უალრესი მნიშვნელობა აქვს წყალთასარგებლობის წესიერი ორგანიზაციის უზრუნველყოფას, რაღვანაც ამ საკითხის სათანადო გადაწყვეტაზე ძირითადად დამოკიდებულია ა/ქსტსრ დიდრონ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში მოსავლიანობის გადიდებისა და, საერთოდ, მეურნეობის განვითარებისა და რა-ციონალიზაციის საკითხის გადაწყვეტა.

ამისდაშესაბამისად, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სამელიორაციო ამ-ხანაგობათა განვითარებასა და განმტკიცებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა სრული უზრუნველყოფა კლასიური ხაზისა წყალთასარგებლობის საქმეში—მთელი რიგი შეღავათების განხორციელებით ღარიბთაფის, წყლის აღ-მინისტრაციის სოციალური შერჩევით და ამ აღმინისტრაციის მოქმედებისათვის ფხიზელი კონტროლის გაწევით.

მთლიად წყლის საკითხის მოწესრიგების უზრუნველყოფისათვის საჭიროა წყლის კოდექსის გამოცემის დაჩქარება.

რათა მიღწეულ იქნეს კველა სამელიორაციო და წყალსამეურნეო ღონის-ძიებათა მაქსიმალური ეფექტინობა, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს სრული და მჭიდრო კავშირი წყალსამეურნეო ორგანოებისა და საადგილმამულო ორ-განოების მუშაობაში.

ამ საკითხისა და აგრეთვე სოფლის რაიონების სასმელი წყლის საკითხის შესწავლა და სათანადო გადაწყვეტა მიენდოს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღ-მასრულებელ კომიტეტს.

14. სააგრარო ჭარბი მოსახლეობიანობის სიმწვავე ა/ქსტსრ ზოგიერთ რაი-ონებში,—მაშინ, როდესაც არის შედარებით მრავალმიწიანი რაიონები და არსებობს პრესპექტივი ახალი მელიორირებული მიწების თვალსაჩინო სივრცის მიღ-ბისა მეურნეობრივ შესაგუებლად—გადასახლების საკითხს აყენებს ა/ქსტსრ სოფ-ლის მეურნეობის წარმატებისათვის საჭირო უალრესი მნიშვნელობის ღონისძიე-ბათა რიგში.

რათა გაძლიერებულ იქნეს გადასახლების ღონისძიებათა განხორციელების ტეპში, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ამ საქმის სათანადო დაყენება და არ-სებული დეფექტების აღმოფხვრა,—ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობას სა-ჭიროდ მიაჩინა:

ა) გაძლიერებულ იქნეს გადასახლების საქმის უკუდაუბრუნებელი დაფი-ნანსება—მიწათმოწყობისა, პიდოროტეხნიკურ და სხვა სამუშაოთა საკმარისად ფარ-თო ფარგლებში ჩასატარებლად მიწის ფონდების მომზადებისათვის;

ბ) გადიდებულ იქნეს დაკრედიტების რაოდენობა ერთ გადასახლებულთა მეურნეობაზე;

გ) გაძლიერებულ იქნეს გადასახლებულთათვის სამეურნეო, მედიო-სანიტარული და სოციალურ კულტურული მომსახურეობის გაწევა;

დ) გაძლიერებულ იქნეს ღონისძიებანი გადასახლებულთა კოოპერირებისა და კოლექტივიზაციისათვის;

ე) გაეწიოს გადასახლებულ მეურნეობათ მიზნობრივი დაფინანსება არა მარტო გადასახლების ფონდიდან, არამედ სასოფლო-სამეურნეო საქარედიტო სისტემის საერთო სახსარიდან.

გადასახლების ღონისძიებათა შორის ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობას განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხებად მიაჩნია მუღანის დასახლებისა, სოჩის ორქში გადასახლებისა და სომებ-ლტოლვილთა მოწყობის საკითხები.

15. ერთ-ერთი უაღრესი მნიშვნელობის მომენტი, რაც აბრკოლებს ა/ქსფსრ სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, არის არასაქმარისად უზრუნველყოფა საგლეხო მეურნეობისა წარმოების საშუალებებით, პირველ რიგში, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და იარაღებით.

ასეთ პირობებში ა/ქსფსრ სოფლის მეურნეობის მექანიზაცია გადაუდებელი პრობლემაა და მასზე დამკაიდებულია სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერების ზრდა და სასოფლო-სამეურნეო პროცესების რაციონალიზაცია.

საჭიროა მოწყობა და გაძლიერდეს გამქირავებული პუნქტები, აგრეთვე გაძლიერდეს სოფლის მოსახლეობისათვის სათანადო ინვენტარის მიწოდება, რაც უმთავრესად განაწილებულ უნდა იქნეს კოლექტიურ მეურნეობათა და ღარიბ და მცირებალოვან საშუალო გლეხთა ჯგუფებს შორის.

ამასთანავე, გამოყენებულ უნდა იქნეს ინვენტარიზაცია, როგორც კოლექტივიზაციისა და გლეხთა საწარმოო კოოპერირებისათვის ხელის შემწყობი ღონისძიება.

სოფლის მეურნეობის ინვენტარიზაციის მაქსიმალური მეურნეობრივი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა განხორციელებულ იქნეს იგი სრული გეგმიანობის წესით და სხვა იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის წარმატებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ გარემოებას, რომ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ასორტიმენტი ზემომიწვენით შეესაბამებოდეს თვითეული რაიონის ბუნებრივ და ისტორიულ პირობებს.

ა/ქსფსრ-ისათვის მანქანების მიწოდების უაღრესი მნიშვნელობის პრობლემა ძევლი გუთნიდან კულტურულ გუთანზე გადასვლაა უახლოესი სამი წლის განმავლობაში, მთლიან ა/ქსფსრ სოფლის მეურნეობის ტრიერებით უზრუნველყოფა უახლოესი ორი წლის განმავლობაში და ტრაქტორების შემოტანის გაძლიერება.

სამანქანო-სატრაქტორო საღდგურებისა და კოლონების მოწყობა უნდა შეიქნეს მშრომელ გლეხთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით უზრუნველყოფის ერთ-ერთ უაღრესი მნიშვნელობის ფორმად.

ზემოდ ნათქვამის გარდა, საჭიროა მაქსიმალური ყურადღება დაეთმოს არსებული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის საესებით გამოყენების უზრუნველყოფას. სარემონტო სახელოსნოების ქსელის გაფართოება და გაუმჯობესება, ტეხნიკური დახმარების გაძლიერება და თვისებრივი გაუმჯობესება და სხვა მთელი რიგი ღონისძიებები უნდა ხელს უწყობდეს ამ უუმნიშვნელოვანების პრობლემას.

16. ა/ქსფსრ სოფლის მეურნეობისათვის მანქანებისა და იარაღის მიწოდების გვერდით დიდი მნიშვნელობა აქვს, საგლეხო მეურნეობრივად განმტკიცებისა და ზრდის თვალსაზრისით, მისი მუშა-საქონლით დაქმაყოფილება. ამ საკონს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება და საჭიროა მუშა-საქონლით დაქმაყოფილება ჩამოჩალიბდეს ისეთ ორგანიზაციულ ფორმებში, რაც უზრუნველჰყოფს სახალხო მეურნეობისათვის ამ ლონისძიების მაქსიმალურ ეფექტიანობას და რაც უფრო შეესაბამება სოფლის მეურნეობის რეკომისტრუქციის პრობლემას.

ამ მიზნით, სხვა ლონისძიებათა გარდა, საჭიროა გაძლიერებულ იქნეს გლეხობის მუშა-საქონლით დაქმაყოფილება ნატურად.

17. ერთ-ერთი უაღრესი მნიშვნელობის ფაქტორი, რაც იწვევს როგორც მარცვლეული, ისე ტეხნიკური კულტურების მცირე მოსავლიანობას, არის ა/ქსფსრ უმრავლესი რაიონების ნიაღავის გამოფიტვა. ეს შედეგია მინდვრების ხანგრძლივი და არარაციონალური ექსპლოატაციისა უთესლთაბრუნვოდ და იშის გამო, რომ, მოსახლეობის შემჭიდროების მიზნებით, შეუძლებელია ნიაღავის ნაყოფიერება ბუნებრივად იქნეს აღდგენილი. ამასთან დაკავშირებით, მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭირო საორგანიზაციო-სატექნიკო ლონისძიებათა შორის დიდი ადგილი უჭირავს მიწის გაპატივების შემოღებას. ამისდამიხედვით, საგრატო ორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ნეხვისა და მწვანე სასუქის გავრცელების საკითხს. შემდეგ, საჭიროა მიღებულ იქნეს ენერგიული ლონისძიებანი მინერალური სასუქის შემოსალებად, განსაკუთრებით ტეხნიკური კულტურებისათვის (ბამბა, თამბაქო, ჩაი), აგრეთვე საჭიროა წარმოებულ იქნეს ძიებლობა სასუქი წიაღის ფენების აღოსაჩენად (დასავლეთ საქართველოში, ქურდისტანში და სხვ.).

ამ მიზნით, აღნიშნულ სფეროში სამეცნიერო საცდელი მუშაობის გაძლიერების გარდა, საჭიროა შეიქმნას საჩვენებელი უბნების ფართო ქსელი, კერძოდ — კოლექტიურ და ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებში, აგრეთვე საჭიროა სათანადო დაკრედიტების გაძლიერება.

18. საჯიშე და გაუმჯობესებული თესლის გამოყვანა და საგლეხო მეურნეობათათვის ამ თესლის მიწოდების ორგანიზაცია უაღრესი მნიშვნელობის ლონისძიებაა. მოსავლიანობის გადიდებისათვის მისაღებ ლონისძიებათა შორის.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-IV ყრილობა აღნიშნავს მიმდინარე წელს დაწყებული სახელმწიფო სათესლე ფონდების ორგანიზაციის უაღრეს მნიშვნელობას და აუცილებელ საჭიროებად სთვლის მეთესლეობისა და თესლის მიწოდების საქმის შემდგომ განვითარებას, განსაკუთრებით ტეხნიკური და მარცვლეული კულტურების ხაზით, აგრეთვე საჯიშე თესლზე გადასვლის საქმის გაძლიერებას, იმ პირობით, რომ ძვირფას კულტურებზე გადასვლა უზრუნველყოფილ იქნეს 100 პროცენტით.

19. მოსავლიანობის გადიდების ლონისძიებათა სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის გაძლიერებას.

ამისდამიხედვით, უახლოეს ხანში ერთ-ერთი უაღრესი მნიშვნელობის პრობლემა მავნებლებთან ბრძოლის საქმის ყოველმხრით გაფართოება, განსაკუთრებით კალისა და გუდაფუტუტის წინააღმდეგ.

საჭიროა უახლოეს წლებში უზრუნველყოფილ იქნეს საგლეხო სათესლე მა-
სალის ძირითადი მასისის დაწამლვა.

20. ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა აღნიშნავს ამ უკანასკნელი
წლების თვალსაჩინო მიღწევებს სამეცნიერო-საცდელ დაწესებულებათა ქსელის
გაფართოებისა და განმტკიცების საქმეში; თანაც საჭიროდ მააჩნია საცდელი
საქმის ყოველი ღონისძიებით შემდგომი გაძლიერება და განმტკიცება და ამ
მხრით რესპუბლიკურებში ერთიანი სისტემის გატარება, მთელი ამ საქმის მიწათ-
მოქმედების სახალხო კომისარიატების ორგანოებში კონცენტრაციით. ამასთანავე,
ახალ საცდელ დაწესებულებათა მოწყობასთან ერთად, განსაკუთრებული ყურა-
დლება უნდა მიეცეს არსებული ქსელის შუშაობის თვისებრივ გაუმჯობესების
საკითხს და ამ ქსელის საჭირო გაწყობილობით და სათანადო მაღალ კვალიფი-
ციურ მომუშავეთა კადრით უზრუნველყოფას.

საცდელ დაწესებულებათა მუშაობისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკული
შექნებლობის მოთხოვნილებების მშენდრო კავშირზე დამოკიდებულია მათ წინაშე
მდგარი პრობლემების გადაწყვეტა.

ა/ქსფსრ ცალკეული რაიონების ბუნებრივი და ისტორიული პირობების
მრავალფერიანობა საჭიროებს, რომ შეიქმნას ფართო ქსელი საცდელ-საჩვე-
ნებელ პუნქტებისა აგრარულ პუნქტებთან, კოლექტიურ მეურნეობებთან და ინ-
დივიდუალურ მეურნეობებთან. ამ ღონისძიებამ, შემთარდებელი განყოფილებისა და
და სხვა განყოფილებათა (გამომცემლობა, გლეხთა თათბირებისა და ექსპურსების
მოწყობა საცდელ დაწესებულებების დასათვალიერებლად) ორგანიზაციასთან ერ-
თად, უზრუნველ უნდა ჰყოს საცდელი სადგურების მიღწევათა სწრაფი გადაცემა
საგლეხო მეურნეობებისთვის.

საცდელი საქმის დაფინანსების გაძლიერება ძირითადი პირობაა ყველა
ზემოაღნიშულ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებისა.

21. ა/ქსფსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების გაძლიერების პრო-
ბლემა მოითხოვს აგრარული ორგანიზაციების გაფართოებას უახლოეს წლებში.
აგრარული პერსონალისა და აგრარული პუნქტების რაოდენობის ზრდის გარდა,
საჭიროა, პირველ რიგში, ყურადღება მიეცეს არსებული ქსელის გაწყობილობის
გაუმჯობესებას, ადგილობრივი აგრარული პერსონალის მეტრიკალური მდგომა-
რეობის გაუმჯობესებას და მისი კავილიფიცაციის წარმატებას.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა აღნიშნავს სასოფლო-სამეურნეო
კომპერაციისა და სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე სხვა ორგანიზაცი-
ების აგრიკულტურული მოქმედების გაძლიერებას და აუცილებელ საჭიროებად
სთვლის, რათა მათი მუშაობა დაკავშირებულ და შეთანხმებულ იქნეს მიწათ-
მოქმედების სახალხო კომისარიატების ორგანოების მოქმედებასთან — ამ უკანასკნე-
ლი ორგანოების საერთო ხელმძღვანელობით.

საგრარო მინიმუმის განხორციელებამ და აგრო-რწმუნებულთა ინსტიტუტის
შექმნამ უაღრესი აგრიკულტურული ზედმოქმედება უნდა იქონიოს მშრომელი
გლეხობის მასსებზე.

22. აგრონომიული უვიცობის აღმოფხვრა უაღრესი ღონისძიებათაგანია
ა/ქსფსრ სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის. ამ პრობლემის გადაწყვეტა
უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სამი გზით:

ა) აგრონომების რიცხვის გადიდებით და მათი კვალიფიკაციის გაძლიერებით;
ბ) სააგრონომიო დარგის მომუშავეთა რიგებში სათანადო კვლიფიკაციის პირების ჩაბმით;

გ) მშრომელი გლეხობის მასსებში სააგრონომიო ცოდნის გავრცელებით და გამოცდილ გლეხთა კადრების შექმნით.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა საჭიროდ სთვლის, რომ:

ა) გაუმჯობესებულ უნდა იქნეს როგორც დაბალი, ისე საშუალო და უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების დაყენბის საქმე.

ბ) განხორციელებულ უნდა იქნეს აგრონომების მასსიური ხელახალი მომზადება სათანადო კურსებისა, ექსკურსიებისა, სამეცნიერო წარვლინების მოწყობით და სააგრონომიო დარგში მომუშავეთათვის სპეციალური ლიტერატურის მიწოდებით და სხვ.,

გ) გაძლიერებულ უნდა იქნეს მუშაობა სოფლის აქტივის ხელახალი მომზადებისათვის, იმ პირობით, რომ უახლოესი ორი წლის განმავლობაში, საშუალოდ, თვითოულ ორმოცდაათ მეურნეობაზე ა/ქსფრ-ში მოდიოდეს ერთი კაცი მაინც, რომელსაც გავლილი ექნება ხელახალი მომზადება;

დ) გაძლიერებულ უნდა იქნეს პოპულიარული სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემა, კერძოდ—ეროვნულ უცირქუსობათა ენგბზე;

ე) ყოველი ლონისძიება სასოფლო-სამეურნეო განათლების სფეროში და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელების საქმეში უფრო მჭიდროდ დაკავშირებულ და შეთანხმებულ უნდა იქნეს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან, ვიდრე აქამდე იყო.

23. ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა ადასტურებს აზერბაიჯანში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების საქმის განათლების სახალხო კომისარიატისათვის გადაცემას და ანდობს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—წინადადება მისცეს სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განიხილონ საკითხი ამ რესპუბლიკებში ანალოგიური გადაწყვეტილების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ.

24. ა/ქსფსრ მემინდვრეობის რეკონსტრუქცია,—რაც შეიძლება მეტი სახნავი მიწების გამოყენებით, სათანადო თესლთაბრუნვის დამყარებით და საქნის საკებელი კულტურების თესვის დიდ ფარგლებში შემოღებით,—განსაზღვრავს ა/ქსფსრ-ში კულტურული ცხოველთმოშენების განვითარების ფართო პრესექტივებს.

ცხოველთმოშენების პრესექტივები მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას იმ ბუნებრივი საკებელი ბაზისის არსებობასთან დაკავშირებით, რასაც წარმოადგენ საძოვრები და სანახირო ადგილები, რომლებსაც მთლად ა/ქსფსრ ტერიტორიის 35%, უჭირავთ.

ამისდამიუხედავად, ამ უამად საქონლის რაოდენობის ზრდის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი საკებელი რესსურსების უქონლობაა. ესვევ გარემოებაა მიზეზი მეცხველეობის მეტისმეტად მცირე პროდუქტიანობისა ა/ქსფსრ-ში.

საკვები ბაზისის გაფართოების პრობლემის გადაწყვეტა უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი გზით:

ა) საკვები კულტურების (ნათესი ბალხეულობა, ფესვნარი და ძირკვნარი მცენარეები) სივრცის გაფართოებისა;

ბ) სასაძოვრო მეურნეობის რაციონალიზაციისა, რაც უზრუნველყოფს ა/ქსფსრ ყველა რაიონის საძოვრების მასის გვების თანაბარ და სრულ გამოყენებას;

გ) საძოვრების მოწყობის დაწეარებისა;

დ) საძოვრების პროდუქტიანობის გადიდებისა—სათანადო სამელიორაციო ღონისძიებათა განხორციელებით.

ე) ა/ქსფსრ ფარგლების გარეშე საძოვრების გამოყენების უზრუნველყოფისა;

ვ) ზამთრის საკვების გეგმიანი დამზადების ორგანიზაციისა და ამ საკვების მეცხოველეობის მეურნეობათათვის მიწოდების გზით.

25. უკეთუ მხედველობაში მივიღებთ ქონებული საკვები მასალის რესურსებს, ძირითად გეზად მეცხოველეობის განვითარებისათვის უახლოესი წლების განმავლობაში უნდა იყოს ზრდა არა იმდენად ცხოველთა რაოდენობისა, რამდენადაც პროდუქტიანობა—კვებისა და მოვლის გაუმჯობესების მეშვეობით.

კერძოდ, ასეთივე უნდა იყოს გეზი მსხვალფეხა რქოსანი საქონლის განვითარებისა.

ა/ქსფსრ-ის ბუნებრივი და ისტორიული პირობებისა და აგრეთვე მემინდვრეობის რეკონსტრუქციის პრობლემის მიხედვით, მესაქონლეობის (მსხვილი რქოსანი საქონლის) შემდგომი განვითარება,—რაოდენადმე მუშა-საქონლის გამრავლებასთან ერთად, უნდა მიმდინარეობდეს, უმთავრესად, სამრეწველო მეცხოველეობის ხაზით, განსაკუთრებით—სარძეო მეურნეობის ხაზით. ამ მიზნით საჭიროა მისწრაფება მეურნეობრიობის რაციონალური ფორმების დამყარებისადმი, კერძოდ— სათანადო რაიონებში ალბიური ტიპის მეურნეობათა გაუმჯობესებისა და გაფართოებისადმი.

აქამდე სარძეო მეურნეობის სფეროში წარმოებული მუშაობა თავმოყრილი იყო, უმთავრესად, პროდუქციის გადამუშავებისა და გასაღების ორგანიზაციის გარშემო. ეს მუშაობა განვრძობილ და გაფართოებულ უნდა იქნეს და საჭიროა შემდგება, საკვები ბაზისის გაფართოებასთან ერთად, დიდი ყურადღება დაეთმოს ნახირის საჯიშე შედგენილობის გაუმჯობესებისა და საგლეხო მეურნეობაში საქონლის მოვლისა და კვების რაციონალური მეთოდების დამყარების საკითხს. მაქსიმუმი ყურადღება უნდა მიექცეს ფურების ბერწობის შემცირების საკითხს.

საგრილობელი პუნქტების ქსელის მოწყობა, პრემიების ფართოდ დარიგება ბუღების გაზრდისათვის და სათანადო ამხანაგობათა ორგანიზაცია აუცილებელი ღონისძიებაა ამ მიზნების განსახორციელებლად.

26. მეცხვარეობის სფეროში ძირითადი პრობლემა პროდუქტიანობის გადიდება და პროდუქციის თვისების გაუმჯობესებაა, რისთვისაც საჭიროა კვების პირობების გაუმჯობესება, ცხვრის გაუმჯობესება მეტიზაციით წმინდა მატყლოვან ჯიშებთან და თვისთა შორისაც, აგრეთვე მეურნეობაში საწარმოო პროცესების რაციონალიზაცია. სათანადო ღონისძიებანი შემდეგში თვალსაჩინოდ უნდა იქნენ გაფართოებულნი და გაძლიერებულნი.

მეცნიერება კონკრეტული და კოლექტივიზაცია, კერძოდ—კოლექტიური ბინების ორგანიზაცია,—ერთი უაღრესი საშუალებათაგანია ცხვრის მეურნეობის განვითარებისათვის.

ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციასთან, კერძოდ—მელიორაციისა და ზამთრის საძოვრების შექმნის პერსპექტივებთან—დაკავშირებულია ცხვრის მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხი იმ მიზნით, რათა განხორციელდეს ინტენსიფიკაცია და უზრუნველყოფილ იქნეს მაქსიმალური სახალხო-მეურნეობრივი ეფექტინობა როგორც ახლად დამელიორირებული მიწებისა, ისე ექსტენსიური საკედი სანახებისა—ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების სახით.

27. მეცნიერებისა და ჯიშიანი ცხენის მოშენების საქმე ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა სოფლის მეურნეობის სფეროში.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა აღნიშნავს მუშაობის გაძლიერებას მეცნიერებისა და ჯიშიანი ცხენის მოშენების საქმეში, კერძოდ—ჯიშიანი ცხენების რიცხვის გადიდებით და სხვ., და საჭიროდ მიაჩნია, რათა შემდეგში განსაკუთრებული ყურადღება მიეცეს ჯიშიანი ცხენების მომშენებელ ორგანიზაციების აგრძელებულ მოქმედებას—საგლეხო მეურნეობაში გაუმჯობესებული ჯიშის ცხენის დამკვიდრების ხაზით.

საჭიროა აგრეთვე ყურადღება მიეცეს მეცნიერების კონკრეტული განვითარებას.

28. ერთი უაღრესი მნიშვნელობის ღონისძიებათაგანი სოფლის მეურნეობაში არის მომთაბარეობის საკითხის სისწორით გადაწყვეტა. ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა ანდობს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს შეიმუშაოს სასწრაფო წესით ღონისძიებანი მომთაბარე მოსახლეობის მკვიდრი მოსახლეობის მდგომარეობაზე გადაყენისათვის გეგმისაღამიხედვით.

29. მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ორგორც მრეწველობისა და ექსპორტის ინტერესებისათვის, ისე სოფლის მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობის წარმატებისათვის.

მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების სერიოზული დაბრკოლება ა/კსფსრ-ში არის საკმარისი საკედის ბაზისის უქონლობა.

ასეთ პირობებში თუთის ხის ნარგავების სივრცის გაფართოება ერთი უაღრესი ღონისძიებათაგანია.

საჭიროა, შემდეგ, თვალსაჩინოდ გაძლიერებულ იქნეს აგრიკულტურული მუშაობა მებაბრეშუმეობის სფეროში, იმ პირობით, რომ უახლოესში წლებმა მოგვცეს თვალსაჩინო ეფექტი აბრეშუმის ჭიის პარკის გამოსავალის გადიდებით და თვისების გაუმჯობესებით.

30. ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, რომლის საორგანიზაციო-სამეურნეო ფორმა კონკრეტული სასოფლო ინდუსტრიაა, მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ძირითად გზითან.

სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, ამრიგად, უნდა გახდეს ინდურიზაციულური საგლეხო მეურნეობის ორგანიზაციისა და ამ მეურნეობის კოლექტიურ შრომაზე გადასვლის ფაქტორად.

ამისღამიხედვით, ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რათა თვალსაჩინოდ გაფართოებულ იქნეს შემდეგში სასოფლო სამეურნეო პროდუქტების პირველადი გადამუშავებისა და შენახვის საწარმოთა მშენებლობა, განსაკუთრებით—სანედლეულო, ტეხნიკური და სპეციალური კულტურებისა და სარძეო მეურნეობის სფეროში.

31. ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა აღნიშნავს, რომ თუმცა მსხვილი ელექტრომშენებლობის სფეროში გვაქვს განსაზღვრული მიღწევები, მაგრამ მაინც ჯერჯერობით ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დარღვები.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობას მუშაობა ამ სფეროში მიაჩნია ერთ-ერთ ფრიად სერიოზულ ღონისძიებათ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის და იგი საჭიროდ სთვლის გაძლიერებულ იქნეს მუშაობა სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის მისაღწევად—საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების მშენებლობასა და ინდუსტრიალიზაციისთან მშენდობა დაკავშირებით; ამასთანავე, სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის წვრილ-წვრილი სადგურების მშენებლობასთან ერთად, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს არსებული და ამ უამად შენებაში მყოფი დიდობინი ჰიდროელექტრო დანადგამების ენერგიის სოფლის მეურნეობაში წესიერად გამოყენებას.

2. სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორი.

32. ა) ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა აღიარებს, რომ უკანასკნელ წლებში ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სფეროში გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები და საჭიროდ სთვლის ღონისძიებათა მიღებას კოლექტიურ მეურნეობის მშენებლობაში არსებული დეფექტების აღმოფხვრისათვის.

ერთი ძირითად დეფექტიანია—კოლექტიურ მეურნეობათა არასაქმარისი სიდიდე, რაც მათ შესაძლებლობას არ აძლევს გამოიყენონ დიდი განსაზოგადოებული მეურნეობის უპირატესობანი.

ამასთან დაკავშირებით—საჭიროა შემდეგში სერიოზულად იქნეს დაყენებული საკითხი კოლექტიურ მეურნეობათა გადიდებისა, კერძოდ—მთელი სოფლების გაერთიანების საკითხი.

ბ) ის გარემოება, რომ კოლექტიური მეურნეობანი საკმარისად არ არიან უზრუნველყოფილნი წარმოების ძირითადი საშუალებებით, კერძოდ—სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით და სასოფლო-სამეურნეო შენობებით, არსებითი მომენტია, რაც აბრკოლებს კოლექტიურ მეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკის უფრო მაღალ დონემდე მიღწევას.

ამასთან დაკავშირებით—საჭიროა გაძლიერებულ იქნეს კოლექტიურ მეურნეობათა ინვენტარიზაცია, კერძოდ და განსაკუთრებით რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანებით.

გ) საჭიროა, შემდეგ, მიღებულ იქნეს ღონისძიებანი იმ სპეციალური აპარატის მაქსიმალური გადიდებისათვის, რომელიც მომსახურეობას უწევს კოლექ-

ტიურ მეურნეობათ, აგრეთვე—კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის საქმეში საადგილმამულო ორგანოებისა და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების აგრძელებული პერსონალის უფრო მეტად გამოყენებისათვის, ვიღრე აქამდე იყო.

დ) საჭიროა პირველ რიგში არსებულ კოლექტიურ მეურნეობათა გაწყობასთან ერთად, შემუშავებულ იქნეს, საერთოდ, მიწათმოწყობის მეთოდები, რაც უზრუნველყოფს მიწათმოწყობის მაქსიმალურ შესაბამისობას კოლექტივიზაციისთან და საგლეხო მეურნეობათა კონკერირებასთან.

ე) იმის გარდა, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტიურ მეურნეობათა მარტივი ფორმების მშენებლობას, კერძოდ—შეერთებულის ძალით მიწების დამშენებელი მასანაგობათ, საჭიროა ამასთანავე ყოველმხრით ხელი შეეწყოს განსახოვადოებული შრომის უფრო რთული ფორმების ორგანიზაციას და აგრეთვე იმას, რათა კოლექტიური გაერთიანების მარტივი ფორმები უფრო რთულ ფორმებად გადაიქცენ.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მიაჩნია ძირითად და მედგარ პრობლემად სოფლის მეურნეობის მშენებლობაში და განსაკუთრებით აღნიშვნავს, რომ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის ინტერესები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ყველა ღონისძიების განხორციელების დროს—გამოყელებლივ.

33. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის სფეროში ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა საჭიროდ სთვლის განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არსებული საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებას და გაძლიერებას.

ის გარემოება, რომ საბჭოთა მეურნეობანი უზრუნველყოფილ არ არიან ძირითადი კაპიტალებით, ხელს უშლის ამ მეურნეობათ—გადაიქცენ დიდ სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო საწარმოდ.

ამისგამო, შემდეგში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საჭირო ძირითადი საწარმოო საშუალებებით საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფის სააკითხს. ამასთანავე, საბჭოთა ყრილობა აღნიშვნავს, რომ საბჭოთა მეურნეობების რესპუბლიკანური ტრესტების თვალსაჩინო ფინანსიური დაბადებულობა აიხსნება საკუთარი ძირითადი და საბრუნვაზი სახსარის უქონლობით.

ამ პირობებში საჭიროა უახლოეს წელიწადშივე აღძრულ იქნეს საკითხი საბჭოთა მეურნეობების დაფინანსების გადიდების შესახებ—მათი საკუთარი (ძირითადი და საბრუნვავი) კაპიტალების გასაძლიერებლად.

არსებული საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებასა და გაძლიერებასთან ერთად საჭიროა გაფართოებულ იქნეს მუშაობა ახალი საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად; ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახლად შესაგუებელ რაიონებს და იმ რაიონებს, სადაც ტეხნიკური და ძვირფასი კულტურების ზრდა დაჩქარებულ უნდა იქნეს.

ახალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის სფეროში შემჩნეული ზოგიერთი დევექტის აღმოსაფხვრებად საჭიროა შემდეგი უზრუნველყოფილ იქნეს გეგმიანობა ამ საქმისა და აღიკრძალოს ახალი საბჭოთა მეურნეობების მოწყობის დაწყება, ვიღრე სათანადო ფინანსიური ბაზაისი და დაწვრილებით დამუშავებული საორგანიზაციო გეგმები არ იქნება ამისთვის.

როგორც ახალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობების სფეროში, ისე არსებული მეურნეობის განმტკიცების დარგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მეცხველეობისა და მემინდვრეობის ხასიათის საბჭოთა მეურნეობებს, რომელიც ყველაზე ცოტაა, სუსტია და რომელთა აგრიკულტურული ეფექტიანობა მეტის-მეტად ნაკლებია.

საბჭოთა მეურნეობების მეურნეობრივად განმტკიცებასთან ერთად საჭიროა თვალსაჩინოდ გაძლიერებულ იქნეს მათი როლი რეკონსტრუქციული ზედმოქმედებისა საგლეხო მეურნეობებზე—საბჭოთა მეურნეობის მოქმედების გაფართოებით სოფლის მოსახლეობისათვის გამჯვინდეს ბული თესლეულისა, საჯიშე და სანერგი მასალის მიწოდების საქმეში და აგრეთვე საგლეხო პროდუქციის გადამუშავების დარგში.

ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს, განსაკუთრებით მემინდვრეობის რაიონებში, საბჭოთა მეურნეობების ინვენტარის საგლეხო მეურნეობებში გამოყენების საკითხს, კერძოდ—საჭიროა შესწავლილ იქნეს საბჭოთა მეურნეობებთან სამანქანო-სატრაქტორო საღვურების მოწყობის საკითხი.

34. ამიერავეკასიის საბჭოთა მე-IV ყრილობას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარება და გაძლიერება მიაჩნია ერთ-ერთ უაღრეს ღონისძიებად ა/ქსფსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარებისათვის და საგლეხო მეურნეობათა კოლექტივიზაციის გაძლიერებისათვის და, ამისგამო, ყრილობა საჭიროდ სოფლის, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყველა ფორმის განვითარებას.

საჭიროა შემდგომი გაძლიერება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როლისა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე და გლეხობისათვის წარმოების საშუალებათა მიწოდების საქმეში; ამასთანავე, ყოველი ღონისძიებით გაძლიერებულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კონტრაქტაციის როლი, იმ პირობით, რომ კანტრაქტაციაში უახლოეს მომავალში მოიცვას სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის ძირითადი მასსა.

აუცილებლად საჭიროა კონტრაქტაციის აგრიკულტურული მნიშვნელობის შემდგომი გაძლიერება.

ამ მიზნით საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს კონტრაქტაციის ღონისძიებათა დაკავშირება მთლად სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის საჭირო ღონისძიებებთან.

კოოპერაციის გასაღება-მიწოდების ოპერაციების ზრდასთან ერთად საჭიროა შემდგომი გაძლიერება სოფლის მეურნე-მოსახლეობის საწარმოო დაკრედიტებისა, რის ოგანიზაციასაც ყოველი ღონისძიებით ხელი უნდა შეეწყოს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარება უნდა მიმდინარეობდეს არა მარტო საგლეხო მეურნეობათა კოოპერაციაში თავმოყრის გაფართოების ხაზით, არამედ მეურნეობრივად და ფინანსებრივად შინაგანი გაძლიერების ხაზით.

ამის ძირითადი პირობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკუთარი სახ-სარის გადიდებაა; ამასთანავე, ამ საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როგორც სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსების გაძლიერებით, ისე მოსახლეობის საკუთარი სახსრის მიზიდულობით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მთელ მუშაობაში, როგორც წარმოებითი კოოპერიტების გეზით, ისე მთლად დანარჩენი მუშაობის გეზით, თანამიმდევრობით და მტკიცედ გატარებულ უნდა იქნეს კლასიური ხაზი.

3. სატყეო მეურნეობა.

35. სატყეო მეურნეობის რაციონალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ა/კსტსრ-ის ტყეები მდიდარია ძირითაში ჯიშის ხეებით.

ამასთანავე, ტყეების დაცვა—მათი რაციონალური ექსპლოტაციის უზრუნველყოფით—აუცილებლად საჭიროა, რამდენადაც ა/კსტსრ ტყეების მომეტებული ნაწილი დაცვითი ხასიათის ტყეებია.

მოსაჭრელი ტყის გაცემის თანდათანობით გადიდებას შედეგად მოჰყვა ა/კსტსრ სატყეო შემოსავლის წლითი-წლობით ზრდა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებლობასთან შედარებით სატყეო შემოსავლის მიღწეული რაოდენობა საკმარისი არ არის.

სატყეო მეურნეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად და შემოსავლიანობის გაიადიდებლად საჭიროა გაძლიერებულ იქნეს კაპიტალების მოთავსება სატყეო მეურნეობაში, და აგრეთვე ტყეების დაცვა.

სატყეო მეურნეობისათვის საჭირო ცალკულ ღონისძიებათა მიხედვით—ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა საჭიროდ სთვლის:

ა) ტყის მოწყობის სამუშაოთა განხორციელების დაჩქარებას;

ბ) ტყის კულტურისა და ტყის აღდგენისათვის საჭირო სამუშაოთა თვალსაჩინოდ გაფართოებას;

გ) ტყეების დაცვის გაძლიერებასა და გაუმჯობესებას—სატყეო აღმინისტრაციის რაოდენობის გადიდებით, კერძოდ, და განსაკუთრებით—ტყის მცველებისა, და მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებით;

დ) საქონლის ძოვებისაგან ტყეების განთავისუფლებას.

4. სოფლის მეურნეობის დაფინანსება.

36. ძირითადი პირობა სოფლის მერნეობის წარმატებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებისა, რაც უზრუნველჰყოფს საწარმოო ძალების მიღწეულ ღონებს, არის სოფლის მეურნეობის საკმარისად და სისწორით დაფინანსება ყოველი წყაროს სფეროში.

ამიმრეკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა აღიარებს, რომ სოფლის მეურნეობის დაფინანსება—დაჯინანსების ყოველი წყაროს სფეროში—გაძლიერებულია, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში. რათა უზრუნველყოფილ იქნეს ა/კსტსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარების გათვალისწინებულ ტემპამდე მიღწევა, ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა საჭიროდ სთვლის გაძლიერებულ იქნეს სოფლის მეურნეობის შემდგომი დაფინანსება.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის სფეროში საბჭოთა ყრილობა აღნიშნავს მის თვალსაჩინოდ გაძლიერებასა და განმტკიცებას.

აღსანიშნავია აგრეთვე მიღწევები სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა სოციალური შედგენილობისა და კრედიტების სოციალური წარმათვის სფეროში.

ხოლო, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს დეფექტებიც, რის აღმოჩევრით სათვისაც საჭიროა:

ა) მიღებულ იქნეს ლონისძიებანი, რათა სოფლის მეურნეობის მთელი და კრედიტება დაკავშირებულ იყოს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გეგმასთან და მას ჰქონდეს მტკიცე გეგმური ხასიათი;

ბ) აღებულ იქნეს მტკიცე კურსი—კრედიტების საერთო თანხიდან პირველ რიგში ღარიბ და საშუალო მეურნეობათა დაკრედიტების ნაწილის მაქსიმალურად გადიდებისა და აგრეთვე ყველა კრედიტის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მეშვეობით გატარებისა;

გ) ჯეროვან სიმაღლეზე იქნეს დაყენებული საკრედიტო ამხანაგობათა წევრების სოციალურ-ქონებრივი ჯგუფობითი შედგენილობის დინამიკისა და მათ შორის კრედიტების განაწილების აღნუსხვა და შესწავლა;

დ) მტკიცე თვალყურისდევნება კრედიტების თავის დროზე წარმართვისა და მიზნობრივი გამოყენებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის მუშაობის შემდგომი გაშლისა და განმტკიცებისათვის საჭიროა გაძლიერებულ იქნეს მისი ძირითადი კაპიტალების დაფინანსება, განსაკუთრებით ქვედა საფეხურებისა და რესპუბლიკანური ბანკების ხაზით და აგრეთვე მიღებულ იქნეს ლონისძიებანი მოსახლეობის სახსართა მაქსიმალური მიზიდულობისათვის.

37. ამასთან ერთად ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა წინადადებას იძლევა—მიღებულ იქნეს ყოველი ლონისძიება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემისათვის გატანილ სესხთა დასაბრუნებლად და გაძლიერებულ იქნეს ბრძოლა სესხთა ვალაზე შეუტანლობასთან.

5. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

38. ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ა/ქსფსრ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გათვალისწინებული ტემპი შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, ეკვთუ სოფლის მეურნეობის წარმატებისა და სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნის ინტერესები მხედველობაში იქნება მიღებული სახალხო მეურნეობის სფეროში ყველა სახელმწიფო რივოლიტიკისთვის ხასიათის ლონისძიებათა მთელი სისტემის განხორციელების დროს (დაფინანსება, სახელმწიფო დაზღვევა, რკინის გზის ტარიფები და სხვ.).

კერძოდ—უაღრესი მნიშვნელობა აქვს სწორ საგადასახადო პოლიტიკას სოფლისად.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობა აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი,— რომლითაც გათვალისწინებულია, ღარიბ მეურნეობათა განთავისუფლების გარდა, საგადასახადო სიმძიმის თვალსაჩინოდ შემსუბუქება სოფლის საშუალო ჯგუფებისათვის და ფართო შეღავათები აგრი-

ქულტურულ გაუმჯობესებათა განმახორციელებელ მეურნეობათათვის, სამაგიეროდ, დაბეგვრის სიმძიმის გაძლიერება კულაკთათვის,—წარმოადგენს ა/კსფსრ-ის სოფლის მეურნეობის საჭარმოო ძალების განვითარების არსებით დამაჩქარებელ ფაქტორს.

ახალი კანონის ურყევად განხორციელება და აგრეთვე მისი მნიშვნელობის ფართო აღსანა-განმარტება უნდა შეაღენდეს სოფლად მუშაობის ერთ-ერთ უაღრეს მორიგ პრობლემას.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობის
თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობის
მდივანი ა. შავერდოვი.

1929 წ. მაისის 11.

127. ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გამო — „ა/კსფსრ-ის დარაიონების შესახებ“

ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელფლოტელთა დეპუტატების საბჭოების მე-V ყრილობამ მოისმინა ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება „ა/კსფსრ დარაიონების შესახებ“ და იგი ადგენს:

1. ა/კსფსრ-ის სახალხო მეურნეობის რაც შეიძლება უკეთ მოწყობისათვის, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა სხვადასხვა საჭიროებისა და მოთხოვნილების წარმატებით დაკმაყოფილებისათვის, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ტემპის უფრო გაძლიერებისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე რეკონსტრუქციისათვის—საჭიროდ იქნეს ცნობილი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ახალი აღმინისტრატიულ-ტერიტორიალური დარაიონების საქმის დაწყება.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების დარაიონება ჩატარებულ იქნეს სამსახურიანი აღმინისტრატიული დაყოფის სისტემის მიხედვით: ოლქი—რაიონი—სოფლის საბჭო.

3. რაღაც დარაიონების საფუძველი ეკონომიკური პრინციპი, გამოყოფილმა უნდა მოიცვას ისეთი რაიონები, რომლებსაც აქვთ ამჟამად ან საპერსპექტივოდ ეკონომიკური ფაქტორების განსაზღვრული კომპლექსი, რასაც შეუძლიან შექმნას ცოტად თუ ბევრად ძალოვანი წარმოება მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ბაზისზე; ამასთანავე, საოლქო ცენტრი უნდა იყოს იმ ადგილას, სადაც არსებობს სამრეწველო პუნქტი ან სადაც, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება შეიქმნას ასეთი პუნქტი ახლო მომავალში.

4. ა/კსფსრ ბუნებრივი და ისტორიული პირობებისა, მასში მობინადრე ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებისა, ამათუმ ტერიტორიის სატარანსპორტო კავშირგაბმულობის საკითხებისა და მშრომელთა მასებთან ხელისუფლების დახმარების ინტერესების მიხედვით—საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ დარაი-

ონების ჩატარების დროს მიღწეულ იყოს, რამდენადაც—კი შეიძლება, საო-
ლქო ერთეულების განმტკიცება, რაც აუცილებელი პირობაა მეურნეობის რაცი-
ონალურად მოწყობისა და მშრომელთა სოციალურ-კულტურული ცხოვრებისა.

5. რაღაც დარაიონება დამყარებულია ცენტრსა და აღგილებს შორის
 შრომის განაწილების პრინციპზე, საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რათა საოლქო და
 სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოებისათვის
 შესამუშავებელ დებულებებში განსაზღვრულ იქნეს რაც შეიძლება ფარ-
 თო ფარგალი მათი მოქმედებისა; ამასთანავე საოლქო აღმასრულებელ კომიტე-
 ტებს მიენიჭებათ სათანადო უფლებები და ფუნქციები ცენტრალური ორგანო-
 ების (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისართა
 საბჭოების) ფარგალიდან, ხოლო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს გადაე-
 ცემათ გაუქმებული სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის უფლებათა ნაწილი.

6. რაღაც აუცილებელია ახლად დაარსებული აღმინისტრატიული ერთე-
 ულებისათვის სალი და მყარი ფინანსიურ-მატერიალური ბაზისის შექმნა, საჭი-
 როდ იქნეს ცნობილი სათანადო ღონისძიებათა განხორციელება საოლქო და სა-
 რაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ბიუჯეტების განსამტკიცებლად და სა-
 სოფლო საბჭოებისათვის საბიუჯეტო უფლებების მისანიჭებლად; ამასთანავე, სა-
 სოფლო საბჭოებს აღნიშნული უფლებანი ეძლევათ თანდათანობითი წესით, თვი-
 თეული მათგანის ძალოვნების მიხედვით; თანაც შემდეგში მიღებულ უნდა იქნეს
 გადამწყვეტი ღონისძიება ყველაგან სასოფლო საბჭოების ბიუჯეტების შემოსა-
 ლებად.

7. ყრილობა შესაძლებლად სცნობს, რომ ავტონომიური ნაციონალური შე-
 ნაერთები შევიდნენ ახლად შექმნილ, მეურნეობრივად მათთვის მონათესავე
 აღმინისტრატიულ ერთეულებში და იგი საჭიროდ სთვლის, რათა აღნიშნული
 საკითხის კონკრეტული გადაწყვეტა თვითეულ ცალკე შემთხვევაში მოხდეს
 თვით ავტონომიური შენაერთობისა და ა/კსტრ შედგენილობაში შემავალი სა-
 თანადო რესპუბლიკების შეთანხმების საფუძველზე, მათი ტერიტორიალური საზ-
 ღვრებისა და უმაღლესი ორგანოების მიერ დაკანონებული მათივე პოლიტიკური
 უფლებებისა და კომპეტენციის შენარჩუნებით.

8. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა დარაიონება რესპუბლიკებში სწარ-
 მოებდეს ისეთი ანგარიშით, რომ იგი დამთავრდეს 1930 წ. ოქტომბრის 1-ის.

9. საერთო ხელმძღვანელობა დარაიონების ჩატარებისათვის ზემოაღნიშ-
 ნული პრინციპების საფუძველზე დაეკისროს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმა-
 სრულებელ კომიტეტს.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობის
 თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობის
 მდგრადი ა. შავერდოვი.

1929 წ. მაისის 11. ტფილის.

128. ამს. დოლიძის მოხსენების გამო „ა/ქსფსრ ძირითად კანონში (კონსტიტუციაში) ცვლილებების შეფანის შესახებ“.

ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელფლოტელთა დეპუტატების საბჭოების მე-V ყრილობამ მოისმინა ამს. დოლიძის მოხსენება „ა/ქსფსრ ძირითად კანონში (კონსტიტუციაში) ცვლილებების შეტანის შესახებ“ და იგი ადგენს: ა/ქსფსრ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 13, 22, 35, 37, 51 და 52 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მუხ. 13. ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობა აარჩევს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს საბჭოთა ყრილობის მიერ განსაზღვრული წევრთა და კანდიდატთა რაოდენობით.

ბ) მუხ. 22. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აარჩევს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ოცდაცხრა წევრის შედგენილობით, მათ შორის სამს თავმჯდომარეს—ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების რიცხვისამებრ, მდივნებს და პრეზიდიუმის წევრთა ცამეტ კანდიდატს.

გ) მუხ. 35. ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო არის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის აღმასრულებელი და განმქარეცვულებელი ორგანო, რომელსაც მოაწყობს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი შემდეგი შედგენილობით: სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილენი, ფინანსთა სახალხო კომისარი, ვაკრობის სახალხო კომისარი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი, შრომის სახალხო კომისარი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, კონტროლიურისათან, სპეცულიაციასთან და თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველი და აგრეთვე—სათათბირო თუ გადამწყვეტი ხმის უფლებით, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებისამებრ,— სსრკ-ის გარეშე საქმეთა, სამხედრო და საზღვაო საქმეთა, გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი.

დ) მუხ. 37. ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოეწყობა უმაღლესი ეკონომიური საბჭო, როგორც ორგანო, რომელიც წარმართავს ა/ქსფსრ ეკონომიურ პოლიტიკას და ხელმძღვანელობას გაუწევს რესპუბლიკანურ ეკონომიურ საბჭოებს.

ე) მუხ. 51. ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები მოაწყობენ თავიანთ განმქარეცვულებელ ორგანოებს—სახალხო კომისართა საბჭოებს—შემდეგი შედგენილობით: სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილენი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, შრომის სახალხო კომისარი, ზინაგან საქმეთა სახალხო, კომისარი იუსტიციის სახალხო კომისარი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი, განათლების

სახალხო კომისარი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარი, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი, ფინანსთა სახალხო კომისარი, ცენტრალური სტატისტიკური სამართველოს მმართველი და აგრეთვე—სათათბირო თუ გადამწყვეტი ხმის უფლებით, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების დადგენილებისამებრ—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული.

ვ) მუხ. 52. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები, შრომისა, მუშაობა და გლეხთა ინსპექციისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატები და ცენტრალური სტატისტიკური სამართველოები, ემორჩილებიან-რა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და სახალხო კომისართა საბჭოებს,—განახორციელებენ თავიანთი მოქმედებით ა/კსფსრ სათანადო სახალხო კომისარიატების დირექტორებს.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობის
თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობის
მდივანი ა. შავერდოვი.

1929 წ. მაისის 11. ტფილისი.

დადგენილება № 146 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

129. ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში საქმეთა წარმოების წესებისათვის 58¹ მუხლის დამატების შესახებ, რომელი მუხლითაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში სახელმწიფო საწარმოთა და შერეულ საქციო საზოგადოებათა, აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციათა არაშემძლეობის საქმეთა წარმოებისათვის სასამართლო ბაჟის გადახდევინების წესები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში საქმეთა წარმოების წესებს (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-11 №-რი, მუხ. 122) დამატოს 58¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„58¹. სახელმწიფო საწარმოთა და შერეულ სააქციო საზოგადოებათა, აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციათა არაშემძლეობის საქმეთა წარმოებისათვის საარბიტრიულ კომისიები სასამართლო ბაჟს ახდევინებენ შემდეგი წესით და რაოდენობით:

ა) აღნიშნულ საწარმოთა არაშემძლეობის შესახებ საჭირო აღქვერისათვის ათი მან.;

ბ) საარბიტრაჟო კომისიის მიერ საწარმოს არაშემძლედ ცნობისა თუ არცნობის შესახებ გამოტანილი დადგენილების განსაჩივრებისათვის—ხუთი მან.;

გ) მორიგების დამტკიცების თაობაზე განცხადების შეტანისათვის—ათი მ.;

დ) მორიგების ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის აღქვერისათვის—ათი მან.;

ე) საწარმოს სახელით, მისი არაშემძლედ აღიარებამდე, ჩადენილი მოქმედების ბათილად ცნობის შესახებ სალიკვიდაციო კომისიის მიერ სარჩელის აღქვრისათვის—სარჩელის ფასის ერთი პროცენტის რაოდენობით; ასეთ შემთხვევაში სასამართლო ბაჟის გადახდევინება გადაიდება სალიკვიდაციო ქონების კრედიტორებს შორის განაწილებამდე;

ვ) საწარმოს სახელით, მისი არაშემძლედ აღიარებამდე, ჩადენილი მოქმედების ბათილად ცნობის შესახებ კრედიტორის მიერ სარჩელის აღქვრისათვის—ერთი პროცენტის რაოდენობით; ასეთ შემთხვევაში სასამართლო ბაჟის გადახდევინება შეიძლება გადაიდოს; ამასთანავე, უკეთუ ბაჟის გადახდა დაეკისრება მოპასუხეს, მოსარჩელეს მიერ გადახდილი ბაჟი დაებრუნება მასვე ამ საქმეზე გადახდევინებული თანხებიდან;

ზ) სალიკვიდაციო კომისიის წინააღმდეგ კრედიტორის მიერ მისი პრეტენზიის აღიარებული პრეტენზიების რაცხვისათვის მიკუთვნების თაობაზე სარჩელის აღქვრისათვის—სარჩელის ფასის ნახევარპროცენტის რაოდენობით;

თ) კრედიტორის მიერ მისი პრეტენზიის ამათუიმ კატეგორიისათვის არასისწორით მიკუთვნების გამო სალიკვიდაციო კომისიის მოქმედების განსაჩივრებისათვის—ათი მან.

ი) იმ პრეტენზიას, რომელიც შეეხება ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებას, აგრეთვე იმ პრეტენზიებს, რაც დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს უდავო წესით ან რაც განთავისუფლებულია სასამართლო ბაჟისაგან, ეს ბაჟი არ გადაპირდება“.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე შ. ელიაფა.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ნ. ბათუმე.

1929 წ. ივნისის 11. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 147 პ/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

130. ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოების უფლების შესახებ, რომლის ძალითაც მათ შეუძლიანთ შესცვალონ სამრეწველო მშენებლობისა და მისი დაფინანსების დამტკიცებული გეგმები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახელმწიფო საჭარმოთა და დაწესებულებათა მიერ მრეწველობის კაპიტალური სამუშაოებისა და მათი დაფინანსების სათანადოდ დამტკიცებული გეგმების შესრულების დროს შესაძლებლად იქნეს მიჩნეული ამ გეგმებიდან გადახრა მარტოოდენ იმ ფარგლებში, რაც განსაზღვრულია ქვემოაღნიშნული დებულებებით:

1. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ქვემდებარე თვითეული ტრესტის შიგნითვე აღნიშნული გეგმების შეცვლა—კაპიტალური სამუშაოების ცალკეული ობიექტებისათვის დანიშნული თანხების გადანაცვლებით—შეიძლება მოხდეს დასახელებული სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ნებართვით იმ პირობით, რომ:

ა) ყოველი ცალკეული საწარმოს ან დაწესებულებისათვის გეგმით დანიშნული თანხები გადიდებულ თუ შემცირებულ იქნეს არა უმეტეს, ვიდრე ათი პროცენტით;

ბ) მთლიან ტრესტისათვის გეგმით დანიშნული თანხების ცალკეული ჯამები სამუშაოების ცალკეული ჯაგუფების მიხედვით, როგორიც არის: ახალმშენებლობა, გაფართოება, რეკონსტრუქცია, კაპიტალური რემონტი და ბინათ-მშენებლობა—შეიცვალოს ამა თუ იმ მხრით აგრეთვე არა უმეტეს, ვიდრე ათი პროცენტით.

2. ზემოდ დასახელებული გეგმების შეცვლა—ცალკეული ტრესტის შიგნითვე თანხების გადანაცვლებით—1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ ათ პროცენტზე ზედმეტად, აგრეთვე გადნაწილება ტრესტებს შორის მრეწველობის ცალკეული დარგის ფარგლებში გეგმებით დანიშნული თანხებისა შეუძლიან მოახდინოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ნებართვით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, იმ პირობით, რომ გეგმით დანიშნული თანხები გადიდებულ თუ შემცირებულ იქნეს არა უმეტეს, ვიდრე ხუთმეტი პროცენტით.

3. აღნიშნული გეგმების შეცვლა—თანხების გადანაცვლებით მრეწველობის ცალკეულ დარგთა შორის—მთლიან ა/კსფსრ-ში შეუძლიან მოახდინოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისა-

რიატთან შეთანხმებით, იმ პირობით, რომ ა/ქსფსრ-ში მრეწველობის ცალკეული დარგისათვის დანიშნული თანხები შემცირებულ თუ გადიდებულ იქნეს არა უმეტეს, ვიდრე ხუთმეტი პროცენტით.

4. ზემოდ დასახელებული გეგმების შეცვლა—მთლად ა/ქსფსრ მრეწველობის ცალკეულ დარგთა შორის თანხების გადანაცვლებით—მე-3 მუხლში აღნიშნულ ხუთმეტ პროცენტზე ზედმეტად, შეუძლიან მოახდინოს ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით—განსაკუთრებული დადგენილებისამებრ თვითუელ ცალკე შემთხვევაში.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული შეცვლა კაპიტალური სამუშაოების გეგმების იმ ნაწილისა, რაც სალითონო, ძირითად ქიმიურ, საფეიქრო, ძირითადი საშენი მასალისა და სადეფუიციტო ნედლულზე მომუშავე მრეწველობათ შეეხება, შეიძლება მხოლოდ სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან წინასწარი შეთანხმებით, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 16-ს დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად; აღნიშნულ შეცვლას მოახდენს ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ცვლილებებს დამტკიცებს ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

5. კაპიტალური სამუშაოების გეგმების ცვლილებანი, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების მე-2 და 3 მუხლებით ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს კომბეტენციის ფარგლებში, დამტკიცებულ უნდა იქნენ აგრეთვე ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, უკეთუ ეს ცვლილებანი იწვევენ იმ თანხების საერთო რაოდენობის შეცვლას, რაც დანიშნულია ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკის მრეწველობის კაპიტალურ სამუშაოთა დაფინანსებისათვის.

6. სხვა სახალხო კომისარიატების (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გარდა) ქვემდებარე მრეწველობისა, აგრეთვე კოოპერატიული მრეწველობის გეგმის შეცვლას მოახდენენ სათანადო სახალხო კომისარიატები და კოოპერატიული ცენტრები ამა დადგენილებაში აღნიშნულ წესებთან შეფარდებით.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე შ. ელიავა.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. ივლისის 4. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 148 პ/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

131. „საკრედიტო გეგმების შედგენისა, განხილვისა და დამტკიცების წესის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 19-ს დადგენილების გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 29-ს დადგენილება „საკრედიტო გეგმების შედგენისა, განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრებ. 1928 წ. მე-11 №-რი, მუხ. 120) გაუქმებულ იქნეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. აგვისტოს 8. ტფილისი—სასახლე.